# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 312. ქვირა, 1 მაისი 1905 წ. გაზეთის № 2809.


### ბ უ დ დ ა

(მერეჟკოვსკისა)

ბნელ მთა-კლდეთ შორის, სად შემოდგომის
შმაგი გრიგალი დაღრიალებდა,—
უცხო ქვეყნიდან განგის წყლებისკენ
უსახლ-კარო ბრბო მიწანწალებდა.
ჩამოფლეთილი, გამხმარი ტანი
ქარ-წვიმისაგან გალურჯებოდათ,
ორი დღე იყო, არც ლუკმა პური,
არც შესაფარი არ უჩნდებოდათ,
ხეებთა შორის ბნელსა ღამეში
აღმოიზიდა რაღაც უეცრად:
ტაძარი იყო... იმის თაღებ ქვეშ
მეისვე შევიდნენ თავ შესაფარად.

აი, აქ ნახეს ქვის ქანდაკება:
საკვამეში ტახტზე მჯდომარე,
მის მეფურ გვირგვინს ალაპლაპებდა
უცხო ალმასი ელვარ-მკრთომარე.

სთქვა ერთმა გლახამ: „ძმებო, დამეა
და ვინ შეგვხედავს ჩვენ ამ ტაძარში...
პურს, ოქრო-ვერცხლს და ტანისამოსსაც
უხვად მოგვცემენ ჩვენ ამ ალმასში...
რად უნდა ბუდდას ეს, ზეცის მპყრობელს,
მაშინ, როდესაც კამკამა ცაში
თვალ-მარგალიტის მნათობთა გროვას
იმისთვის გააქვს ციმციმ-კაშკაში!“
სთქვა და სუყველამ იწყეს ბნელაში
წმინდანისაკენ ნელად პარება,
მაგრამ როდესაც მთრთოლვარე ხელით
მათ დაუპირეს ქვას მიკარება,—
უცბად იელვა, დაჭბერა ქარმა,
მეხმა დასჭექა, დაიგრიალა
და ბრბო მშიერი, მიუსაფარი,

უკუ გასტყორცნა, შეატრიალა...
შიშით გაქვავდნენ, და მათგან მხოლოდ
ერთი გულ-მაგრად და მედიდურად
წინ გამოვიდა და უთხრა ღმერთსა:

„უსამართლო ხარ, იდოლე, მარად!
სჩანს, ქურუმებმა ჩვენ მოგვატყუეს,
რომ ხარ მოწყალე, კეთილის მქნელი,
ჰკურნავ სნეულთ და, ვითა მზისგან,
შენგანაც ითრგუნვის ყოველთვის ბნელი.
არა და არა! მაგ მცირე ქვისთვის
შენ შურს გვიძიებ და გვისრეს თავებს
მტვერში განართხულთ შენსა წინაშე,
მაგრამ შენსავით სულით უკვდავებს.
რა გმირობაა მაგ მეხსა და ცეცხლს
უღონო ბრბოსა რომ გვაყრი თავზე?
შეგრცხვეს, ოჰ, შეგრცხვეს, ზეცის მპყრობელო!
მისთვის ასულხარ ამაყად ცაზე,
რომ გლახაკთ გროვას ძლევით მოსილმა
დღიური საზრდოც აგვაფცქვნა ზურგზე?
მეფეთა მეფევ! იქუხე, გიჟსა
ცეცხლის ისარი დამეცი გულზე,
მე აგერ ვდგევარ ამაყი, ურჩი,
და, ვითა ჩემი თანასწორი ხარ
ისე გაბედვით გეტყვი საქვეყნოდ.
ზეცის მპყრობელო! შენ მტყუანი ხარ!“
ეს სთქვა და—რომ ალმასის ახსნა
გაძნელებოდათ იმათ აღარა—
ბუდდას ქანდაკმა დაბლა მიწამდე
გვირგვინოსანი თავი დახარა.
მუხლ-მოდრეკილი, წყნარი, კეთილი
მეფეთა მეფე, მჯდომარე ცაზე
გლახაკთა ბრბოს წინ ქვეყნის შემქნელი
ღმერთი, თვით ღმერთი ემხო, მიწაზე.

ოსიკო



ჟანნა-დ'არკი.—ქანდაკება

### ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი.

ცა შეიჭმუხნა... დასჭექ-დაჰქუხა,
გაისმა ირგვლივ მძლავრი გრიალი;
შეუპოვარად ზე წამოვარდა
და გამოქანდა თვით ქარიშხალი.

—

ზღვა აამღვრა, ტალღა კლდეს სტყორცნა,
ტყე შეანძრია გულჩათხრობილი;
მძლავრი და სუსტი გამოიწვია—
მათ გაუღვიძა ბრძოლის წყურვილი.

—

და ყივილ-კვნესით ცისა ქვეშეთი
სულ ცოტა ხანში შემოიარა...
ფრთა ჰკრა შავ ღრუბლებს, ზეცას შეხედა
და მაღალ მთებზე გადაიარა...

—

ცამ მოიხადა თვისი პირ-ბადე,
შეათამაშა სხივები მზისა,
და რა იხილა ბუნება ახლად,
სიამოვნებით გადიკისკისა.

ილ. რუხაძე



გაზაფხულის მოლოდინში. —სურ. ფონ-ბოდენჰაუზენისა.

# მაწანწალა

ოქტავ მირბოსი

მთელ უნაყოფო სიარულის შემდეგ ჟან-გენილმა გადასწყვიტა, სახლშივე დაბრუნებულიყო...

უსათუოდ უნდა დავბრუნდე სახლშიო. „სახლს“ ჟან-გენილი უწოდებდა სკამს, რომელიც იდგა ანტვერპენის ქუჩის პირდაპირ, ბაღის ერთ მივარდნილ კუთხეში. ამ სკამზე, დაბურულ წაბლის ტოტებ ქვეშ, რომელიც ფარდულის მაგივრობას სწევდა, ჟან-გენილმა ერთი თვე გაატარა. ჟან-გენილი ამ ჟამად ბაღში იდგა, „ვოდევილის“ თეატრის მახლობლად.

დღეს მხოლოდ ორად-ორი სუ*) იშოვა, და ისიც დიდის გაჭირვებით. ფულის საშოვნელად სიარულის"დროს ათას ნაირი გაჭირვება ელობებოდა წინ. ჯერ ერთი იმ ქალაქში, სადაც ჟან-გენილი სცხოვრობდა, დაწყევლილ ლითონის მათხოვარი, იმის გარდა სხვაც, ბევრი იყო. ეს კიდევ არაფერი: მათი რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. ამას გარდა ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ჟან-გენილი მათხოვრობაში დახელოვნებული როდი იყო და ამიტომ ფულის თხოვნის დროს ძაან უხერხულად იქცეოდა. ერთის სიტყვით ამ მიზეზებისა, თუ სხვა უბედურ შემთხვევისა გამო, ჟან-გენილმა ორის სუს მეტი ვერ იშოვა და ისიც როგორ უნდა მოეხმარებინა: ფრანგული ფული სხვა სახელმწიფოში რაში გამოადგებოდა!

„საძაგელი ორი სუ და ისიც იმისთანა გაჭირვებულისათვის, როგორც მე ვარ, —ფიქრობდა თავისთვის, —განა საცილო არ არის? მერე ვინ მომცა? მილიონერმა!.. თვალწინ წარმოუდგა ის კაცი, კარგად ჩაცმული, თეთრი ყელსახვევით, თეთრსავე გახამებულ პერანგში, ძვირფას ჯოხით ხელში, რომელსაც ოქროს ხელის მოსაკიდებელი ჰქონდა. ჟან-გენილმა მწუხარებით მხრები აიწია.

ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. „რამდენი უნდა ეარნა, სანამ ანტვერპენის ქუჩას მიაღწევდა და თავის სკამზე წამოწვებოდა, რომელსაც ჩვეულებრივად „სახლს“ ეძახდა. იმისთვის ძვირფასი იყო ეს „სახლი:“ აქ მაინც მოისვენებდა თავისუფლად, რომ არავის შეეწუხებინა.

პოლიციელები კარგად იცნობდნენ და სიბრალულით ნებასაც აძლევდნენ სკამზე სძინებოდა, რამდენიც სურდა.

„ეშმაკმა დასწყევლოს დღევანდელი დღე!—ბუტბუტებდა თავისთვის.—ეს სამი კვირაა ამისთანა უბედურ დღეს არ შევხვედრივარ. მართალს ამბობენ: ალბად, საქმეები კარგად არ მიდის!.. მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი ინგლისელების ბრალია? ეშმაკმა წაიღოს დაწყევლილ ინგლისელების სული და ხორცი...“

ამ სიტყვებით იგი გაუდგა გზას და იმედს მაინც არა კარგავდა, ეგებ ვინმე მოწყალე ბატონს, ან გულკეთილ მთვრალს, წავაწყდე, ორი ნამდვილი სუ მომცეს, რომ დილისთვის პური მაინც ვიყიდოო...

— ორი სუ, ორი ნამდვილი სუ... ეს ხომ ჩემთვის მთელი საუნჯეა!—ამბობდა ჟან-გენილი და თან ნელის ნაბიჯით წინ მიდიოდა.

ძალიან დაიღალა; მისმა მუდმივმა ავადმყოფობამაც (თიაქარმა) დღეს არა ჩვეულებრივი ტკივილი აგრძნობინა. მიდიოდა და თან სულ იმ გულკეთილ კაცზე ფიქრობდა, რომელსაც ორი სუთი უნდა გაებედნიერებინა მისი სევდით მოცული ნატვრა. ბნელოდა. უეცრად ფეხ ქვეშ რაღაც რბილი იგრძნო. პირველ ხანს იფიქრა, ალბად დამპალი რამე თუაო, მაგრამ უცბად თავში გაუელვა: იქნება საჭმელი იყოს რამე! ვინ იცის? თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყო, რომ ბედი გულუხვად ხშირად არ სწყალობს ხოლმე გაჭირვებულებს, მაგრამ მე ხომ ერთხელ, საღამოს, ახლად დაკლულ ცხვრის ხორცის დიდი ნაჭერი ვიპოვნე—ალბად ყასაბს თუ გადმოუვარდა უცაბედად. მართალია, ეს იმ ხორცის ნაჭერს არა ჰგავს, მაგრამ შეიძლება შემწვარ ხბოს ხორცია ან ცხვრის გული... მაინც უნახავად ვერ დავტოვებ.

სთქვა თუ არა ეს სიტყვები, დაიხარა და ფეხებთან მდებარე ნივთი ხელში აიღო.

„აჰ!—გაიკვირვა ჟანმა, ეს რაღაც სხვაა და არა საჭმელი... დასწყევლოს ღმერთმა დღევანდელი დღე, სულ უიღბლოდ დავეხეტები!..“

ქუჩა მთლად მიყუჩებული იყო. ერთის პოლიციელის ლანდიც არსად მოსჩანდა. ჟან-გენილი მივიდა ფარანთან, რომ უკედ გაესინჯა ნაპოვნი ნივთი.

— ეს კი კარგი რამ ვიპოვნე!—შესძახა სიხარულით მან.

ნაპოვნი ნივთი აღმოჩნდა შავის ტყავისაგან გაკეთებული საფულე თეთრი ვერცხლის ფულით გატენილი. ჟან-გენილმა გახსნა საფულე და მოწიწებით დაიწყო შიგ ცქერა: ერთ განყოფილებაში ეწყო დასტად შეკრული ბანკის ბილეთები, ათას ფრანკად ღირებული.

„აი ეს კი იღბალია!.. ეს ხომ შემთხვევაა!..—ფიქრობდა მაწანწალა.—ვხედავ ქვეყანაზე ბევრია ისეთი შეძლებული, რომელმაც ჯიბეები ამისთანა ფულით აქვს გატენილი; საფულეში ათი ათასობით აწყვია ფრანკები... განა საწყენი არ არის!“

*) სუ $1^2/_3$ კაპიკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გაზაფხულის ფიქრები.**—სურ. ფონ ბოდენჰაუზენისა.

ჟან-გენილმა ჩაიხედა ეხლა მეორე განყოფილებაში. აქ კი არაფერი იყო: არც სადარბაზო ბარათი, არც წერილები, არც ფოტოგრაფიული სურათი, ერთის სიტყვით, საფულეში არაფერი აღმოჩნდა ისეთი, რითაც პატრონის ვინაობა შეეძლო გამოეკვლია,

ჟანმა საფულე დახურა. „ეჰ, რა მეწყინა!—წაილაპარაკა თავისთვის.—ესღა მაკლდა! ეხლა ადექი და ეძიე პოლიციის ბოქაული! აუხსენი, სად ნახე, ვის დაეკარგა და სხვა, მე-კი უიმისოდაც ძალზე დავიღალე... დღევანდელი დღე სულ უბედურად დავეხეტები“.

ქუჩა თან და თან წყნარდებოდა, არც ერთი გამვლელი, არც ერთი პოლიციელი აღარსად სჩანდა. ჟან-გენილი გამობრუნდა უკან და გაეშურა მახლობელ საპოლიციო ნაწილისკენ. თვით პოლიციის კომისარის ნახვა ისე ადვილიც არა ყოფილა, როგორც გენილს ეგონა. როგორც-კი პოლიციელებმა შენიშნეს ჟან-გეხილის დაფლეთილი ტანისამოსი და მიწის ფერი პირისახე, გაიფიქრეს, ჯიბგირიაო, და კინაღამ ერთი აურ-ზაური არ აუტეხეს. მაგრამ ჟან-გენილის სახის დამშვიდებულმა გამომეტყველობამ და აუჩქარებლობამ თავისი გაიტანა და, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით შეუშვეს კომისარის კაბინეთში.

— ბ-ნო კომისარო,—გაბედა მოწიწებით და თავის დაკვრით ჟ. გენილმა:—მე თქვენ მოგართვით ნივთი, რომელიც დღეს შემთხვევით ხელში ჩამივარდა...

— ეს რა არის?—ჰკითხა გაკვირვებულმა კომისარმა.

— ნახეთ ბ-ნო კომისარო,—მიუგო ჟ. გენილმა და თავის მთრთოლვარე ხელებით გაუწოდა საფულე.

— კარგი... და... რასაკვირველია, შიგ არაფერია?

— ინებეთ, ბ-ნო კომისარო, და თქვენის თვალით გასინჯეთ.

კომისარმა გახსნა საფულე, ამოალაგა შიგ ჩაწყობილი ფული და გადათვალა. კომისარს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— ეს... ეს... აქ ხომ ათი ათასი ფრანკია!.. ამდენი ფული... ამდენი ფული... ამდენი!..—ლაპარაკობდა კომისარი აღელვებული.

ჟან-გენილი იდგა და გულ დამშვიდებული ყურს უგდებდა

— ჰო,—წაილაპარაკა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჟან-გენილმა,—როდესაც ჰხედავთ, ქვეყნად არის ამისთანა მდიდარი ხალხი, რომელსაც ჯიბეებით ათი ათასი ფრანკი დააქვს, მოდი და ნუ გეწყინება?!.

კომისარი გაშტერებული შეჩერებოდა მაწანწალას და იმის თვალებში რაღაც გაკვირება გამოიხატებოდა.

— თქვენ იპოვნეთ ეს, არა? მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა! თქვენ კი, თქვენ კი პატიოსანი კაცი ხართ?! თქვენ კარგი ყოფილხართ, გმირი ხართ... დიახ, ნამდვილი გმირი ხართ!

— რას ბრძანებთ, ბ-ნო კომისარო?

— უსათუოდ... უეჭველად გმირი ხართ, გეუბნები, რომ გმირი ხართ! თქვენ ხომ ისიც შეგეძლოთ... ერთის სიტყვით გმირი ხართ, გმირი!.. ეს შესანიშნავი ამბავია, საგმირო საქციელია. სხვა სახელი ამისათვის არ არსებობს. თქვენ დაიმსახურეთ ჯილდო თქვენის გულკეთილობისთვის... თქვენს სახელი?

— ჟან-გენილი, ბ-ნო კომისარო.

კომისარმა კვამლით გაყვითლებულ ჭერისაკენ ხელები გაიშვირა.

— წარმოიდგინეთ, ჟან-გენილი*) კი გრქმევიათ! გასაოცარია სწორედ! ეს ნამდვილი საარაკო საქმეა... თქვენი ხელობა?

— ჩემდა საუბედუროდ, არაფერი ხელობა არ ვიცი,—მიუგო გენილმა.

— როგორ თუ არაფერი ხელობა! მაშ თქვენ დიდი ფულის პატრონი იქნებით?

— მე მოწყალებით ვირჩენ თავს, ბ-ნო კომისარო... ან კი რა ცხოვრებაა ჩემი ცხოვრება, მაგრამ მაინც...

— დასწყევლოს ეშმაკმა! ეს ხომ საქმეს გააფუჭებს...

კომისარმა მკაცრი გამომეტყველობა მიიღო და განაგრძო ცოტა დაბალის ხმით:

— მაშ თქვენ მათხოვარი ხართ?

— დიახ, ბ-ნო კომისარო.

— ჰმ, ჰმ...—კომისარი ჩაფიქრდა.—თქვენ სადა სცხოვრობთ?—ჰკითხა მან ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ.

— მე სად უნდა ვსცხოვრობდე...—მიუგო გენილმა.

— თქვენ ამბობთ, ბინა არა მაქვსო?



**უბინაო ობლები.**—სურათი მ. შესტიორკინისა.

— საუბედუროდ, არა მაქვს...

— რას ამბობ, ბინა როგორ არა გაქვს? ხომ არა ხუმრობთ?

*) გენილი ნიშნავს ძონძებს, კონკებს.

— გარწმუნებთ, რომ არა...

— როგორ შეიძლება, უსათუოდ უნდა გქონდეთ ბინა!. ამას კანონი მოითხოვს.

— შეიძლება კანონი მაგას თხოულობს, მაგრამ მე გაჭირვება მაიძულებს, რომ ბინა არა მქონდეს... მე სამუშაო არა მაქვს... არა მაქვს არავითარი სალსარი ცხოვრებისა. ვისაც ვსთხოვ, ისიც სხვა ქვეყნის ფულს მაძლევს. ამას გარდა მოხუცებული და ავადმყოფი ვარ... თიაქარი მაწუხებს.

— თიაქარი, თიაქარი... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საქმე ის როდია... თქვენ თიაქარი გაწუხებთ, მაგრამ ბინა-კი არა გაქვთ, მაწანწალა ხართ... თქვენ პასუხის გებაში უნდა მიეცეთ, როგორც მაწანწალა... თქვენ მაინც გმირი ხართ, მაგრამ ამასთან მაწანწალა... ეს ასეა... გმირებისათვის კანონი არ არსებობს, მაწანწალებისთვის კი... მე კანონიერად უნდა მოვიქცე. ძალიან მწყინს, ძალიან მეცოდებით, რადგან თქვენი მოქმედება მოსაწონია. მაგრამ რას იზამ, კანონი-კანონია, კანონმა უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს!— კომისარი საფულესატრიალებდა ხელში.—ეს, რასაკვირველია, მაგრამ თქვენს ადგილზე, თქვენს მდგომარეობაში ათასში ერთი თუ მოიტანდა ამას ჩემთან... მე ამას პირდაპირ ვამბობ. სრულიადაც არ მინდა ვსთქვა: თქვენ სისულელე ჩაიდინეთ-მეთქი, არა, თქვენი მოქმედება ძალიან კარგია და ჯილდოს ღირსიცაა... უსათუოდ მიიღებთ კიდეც, ვფიქრობ, რომ ხუთ ფრანკზე ნაკლები არც შეგფერით... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქედან კიდევ ის არ გამოდის, ვითომ შენ უბინაოდ უნდა სცხოვრობდე... აი, საქმეც ეს არის. მერწმუნეთ, ჟან-გენილ, არსად,—არც კანონების კრებულში, არც სხვაგან—არ მოიპოვება ისეთი მუხლი, რომელიც თქვენ ვალდებულსა გხდიდეთ სავსე საფულეები იპოვოთ, მაგრამ არის მუხლი, რომელიც თქვენ ვალდებულად გხდით ბინა გქონდეთ... გარწმუნებთ, რომ უკეთესს იზამდით, საფულეს მაგიერ, ბინა მოგეძებნათ.

— მაშ რა ვქნა?—ჰკითხა ჟან-გენილმა.

— აი რა,— მიუგო კომისარმა,—ამაღამ თქვენ პოლიციის ნაწილში დარჩებით, ხვალ კი საპყრობილეში გაგგზავნით.

კომისარმა ზარი დარეკა. შემოვიდა ორი პოლიციელი. კომისარმა ანიშნა მათ. ჟან-გენილი კი, როდესაც პოლიციელებს მიჰყავდათ, თავისათვის ბუტბუტებდა:

— ესეც შენი ისტორია! ტყუილს არ ვამბობდი, რომ დღეს უილბლოდ დავეხეტები მეთქი. ღმერთმა დაწყევლოს ეს შეჩვენებული ბურჟუები, რომ სხვის კისრიდან აღებულ ფულს კარგა არ ინახვენ ჯიბეში და სხვის სატანჯველად აქა-იქ გზაში ჰკარგავენ!.. განა საწყენი არ არის ამისთანა უსამართლობა?.

**დათიკო ჩადუნელი**




არ ვიცი, რომელზე შევჯდე!..

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**